ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 207

"23" ივნისი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში ტ. გრანელის ქუჩა №7-ში მდებარე 2563 მ² მიწის ნაკვეთისა დამასზე განთავსებული 1643,83 მ² საერთო ფართობით შენობა-ნაგებობა №1-ის შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით თანხმობის მიცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 3 ივნისის №22.41.682 განკარგულების შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება ,,ქ. თბილისში ტ. გრანელის ქუჩა №7-ში მდებარე 2563 მ² მიწის ნაკვეთისა დამასზე განთავსებული 1643,83 მ² საერთო ფართობით შენობა-ნაგებობა №1-ის შპს ,,თბილსერვის ჯგუფისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით თანხმობის მიცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის №15 განკარგულებაში, კერძოდ:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ქ. თბილისში, ტ. გრანელის ქუჩა №17-ში მდებარე (ს/კ №01.16.06.019.032.) 3398 კვმ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისშპს ,,თბილსერვის ჯგუფისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით თანხმობის მიცემის თაობაზე";

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, ქ. თბილისში, ტ. გრანელის ქუჩა N17-ში მდებარე (ს/კ №01.16.06.019.032.) 3398 კვმ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1 საერთო ფართით 6.31კვმ; №2 საერთო ფართით 103.12კვმ; №3 საერთო ფართით 4.36კვმ; №4 საერთო ფართით 432.98კვმ; №5 საერთო ფართით 92.13კვმ; №6 საერთო ფართით 713.08კვმ; (მ/შ სარდაფი 228.13კვმ; I სართული 243.22კვმ და II სართული 241.73კვმ) შპს „თბილსერვის ჯგუფ ისთვის" (ს/ნ206267494) პირდაპირი განკარგვის წესით 10 (ათი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე."

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი